

შპს „ინნო ჯგუფი“

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა, №45

ს/კ: 402199802

ტელ: 555111161

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

## განცხადება

შპს „ინნო ჯგუფი“ გეგმავს ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობას და ვინაიდან საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, დადგენილ საქმიანობაზე წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და ვითხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

შპს „ინნო ჯგუფი“-ს ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა დაგეგმილია დმანისის მუნიციპალიტეტში, საჯარო რეესტრში 82.01.45.026 საკადასტრო კოდით (იხ. სურათი 1) რეესტრირებულ, გენო ფილფანის (პირ.N 15001000918) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც დროებით სარგებლობაში იჯარით გადმოცემულია შპს „ინნო ჯგუფზე“. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2800 კვ.მ.-ს, საიდანაც ნავთობპროდუქტის საცავი განთავსდება 11 კვ.მ. ფართზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილ 1-ში. უახლოესი დაახლოებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით. უახლოესი წყლის ობიექტი (მდინარე მაშავერა) ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1000 მეტრზე მეტი მანძილით. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გრუნტიან ადგილს, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია.

ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ტერიტორიის მითითებით წარმოდგენილია სურათი 2.

სურათი 1. შპს „ინნო ჯგუფ“-ზე იჯარით გადმოცემული მიწის ნაკვეთი



ცხრილი 1. ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ტერიტორიის კოორდინატები

	X	Y	Z
1	434057.5	4576089	1223.011
2	434058	4576088	1222.982
3	434064.7	4576090	1222.929
4	434064.3	4576091	1222.928
5	434066.2	4576091	1222.835
6	434066.5	4576090	1222.827
7	434067.2	4576091	1222.787
8	434066.9	4576092	1222.827

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ერთი ერთეული საწვავის რეზერვუარი: 20 მ<sup>3</sup> დიზელის საწვავისთვის. ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია მხოლოდ დმანისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის მიმდინარეობის დროს გამოყენებულ ტექნიკაზე. ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში, დღე-ღამის განმავლობაში, აღნიშნულ ტექნიკაზე ჯამურად მაქსიმუმ 300 ლიტრი საწვავი გაიცემა. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 240

დღე, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობა - 30 წთ/დღე. ავტოგასამართ სადგური საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით. წლის განმავლობაში დაგეგმილია დაახლოებით 72 მ<sup>3</sup> დიზელის საწვავის რეალიზაცია.

**სურათი 2. ნავთობპროდუქტის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა**



ნავთობპროდუქტის რეზერვუარი წარმოადგენს ცილინდრული ფორმის მიწისზედა დაწვენილ ჭურჭელს, რომელიც დამზადებულია ლითონისგან, კედლის სისქეა 10 მმ., დაფარულია მინიმუმ 80 მკრ სისქის ანტიკოროზიული ემალირებული საღებავით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველით. რეზერვუარზე დამონტაჟებული სასუნთქი სარქველის სიმაღლეა 3 მ., ხოლო დიამეტრი 0.05 მ. რეზერვუარს აქვს ლუქი და მასზე მიდებებულია ლითონის კიბე ლუქთან არსებული მოედნით (განკუთვნილი რეზერვუარის ტექნიკური მომსახურებისთვის).

პროექტის განხორციელების შემდგომ ავტოგასამართ სადგურზე იფუნქციონირებს ერთი ერთეული ორმხრივი მარიგებელი სვეტი. საპროექტო

ტერიტორიაზე აღნიშნული სვეტი განთავსდება გადახურულ (ფარდულის) ტიპის ნაგებობაში.

ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობისათვის იგეგმება შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება: ტერიტორიის დაბეტონება, საწვავის გასაცემი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრზე არხის მოწყობა, რომელიც შეერთდება მიწისქვეშა ავზთან (ნავთობდამჭერთან), სადაც მოხვდება საწარმოს ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი, სახურავის მოწყობა.

ოპერირებისას ნავთობდამჭერში მოხვედრილი ნავთობპროდუქტები ამოღებული იქნება და განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია გარემოსდაცვითი შესაბამისი ნებართვა.

შპს „ინნო ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობა გეგმავს ავტოგასამართ სადგურზე მხოლოდ 1 ადამიანის დასაქმებას.

სადგურზე ცენტრალიზებული წყალმომარაგება არ არსებობს, ამიტომ პირველ ეტაპზე მოხდება წყლის შემოტანა გარე ქსელიდან მხოლოდ სახანძრო დანიშნულებით, რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით სადგურზე დასაქმებული პირი გამოიყენებს საპროექტო ტერიტორიიდან 15 მ. მანძილით დაშორებულ შპს „ინნო ჯგუფზე“ დროებით სარგებლობაში გადმოცემულ შენობაში მოწყობილ ხელსაბანს, საშხაპეს, ტუალეტს, რომელიც მიერთებულია მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემას.

უსაფრთხოების მიზნით ობიექტზე დამატებით იგეგმება ნავთობპროდუქტის დაღვრის შემთხვევაში გამოსაყენებელი სპეციალური აღჭურვილობის განთავსება (აბსორბენტი ან/და ქვიშა), რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ. ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა ნარჩენები, შეინახება სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და შემდგომში დამუშავების/განადგურების მიზნით გადაეცემა გარემოსდაცვითი შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ავტოგასამართი სადგურის ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის ექსპლუატაციისას გამოყოფილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტის ნახშირწყალბადები.

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები რომ გავიანგარიშოთ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის



ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი №98) ერთ ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 0.0025 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება დიზელის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 0.0025. დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 72 მ<sup>3</sup> (72000 ლიტრი/წელ);

$$\text{წლიური ემისია} - 72000 \text{ ლ/წელ} * 0.0025 \text{ გ/ლ} * 10^{-6} = 0.00018 \text{ ტ/წელ};$$

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმის ( 30 წთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება:

$$0.00018 * 10^6 / 240 \text{ დღ} * 0.5 \text{ სთ} * 3600 \text{ წმ} = 0.00042 \text{ გ/წ};$$

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ჯამური წლიური გაფრქვევა შეადგენს 0.00018 ტ/წელ.

ზემოაღნიშნული ანგარიშიდან დგინდება, რომ საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ავტოგასამართი სვეტი განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის განთავსება/ექსპლუატაცია.

დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება ბიომრავალფენოვნებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

მშენებლობისას და ექსპლუატაციისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები გამოყენებული არ იქნება.

საცავის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული (სამშენებლო) მასალების ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც გატანილი იქნება კანონმდებლობის სრული დაცვით მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს, 65 მეტრში მდებარეობს სხვა ავტოგასამართი სადგური. მიუხედავად ამისა, რადგან საპროექტო სადგურის ოპერირების დრო შემოიფარგლება მხოლოდ 30 წთ.-ით დღე-ღამის განმავლობაში (დილის 8.00-8.30 სთ.) და სხვა ავტოგასამართი სადგური დღის ამ პერიოდში საწვავის მიღებას, შენახვას, გაცემას ნაკლები დატვირთვით ახორციელებს, ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობისა და საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობისას გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით).

ობიექტის მოწყობის თავდაპირველ ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოების დროს არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყდება სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის აფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა, თავისი სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბეტონის საფარი, გადახურვა და წყალშემკრები სისტემა უზრუნველყოფს შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარემოში მოხვედრის პრევენციას. ასევე, მცირე მოცულობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები - ნახშირწყალბადები. საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება დამატებითი ტერიტორიის ათვისებასთან, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებასთან.


განცხადებას თან ერთვის შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. საიჯარო ხელშეკრულება;
3. მუნიციპალიტეტის წერილი ფუნქციურ ზონასთან დაკავშირებით;
4. ინფორმაცია საპროექტო ადგილის შესახებ GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კორდინატების მითითებით (shp-ფაილებთან ერთად).

პატივისცემით

ქ. თბილისი, 8.08.2022

კობა ბურნაძე

-----  


შპს „ინნო ჯგუფი“-ს დირექტორი